



თელავის მუნიციპალიტეტის მერიის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების
სტრატეგია

სტრატეგია მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (I I) მიერ “გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების სტრატეგიის შემუშავება თელავისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტების მერიებისთვის“ პროექტის ფარგლებში. პროექტის ფინანსური მხარდამჭერია დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (I) საქართველოში.

2020 წ.

სარჩევი

შესავალი	3
ხედვა	4
სტრატეგიული მიმართულებები	5
მიმართულება I. გამჭვირვალობა	6
მიმართულება II. მოქალაქეთა ჩართულობა და ანგარიშვალდებულება	7
მიმართულება III. ადამიანური რესურსების მართვა	8
მიმართულება IV. ეთიკა და კორუფციული რისკების შემცირება	8
მიმართულება V. სახელმწიფო შესყიდვები	9
მიმართულება VI. ნებართვები	10
მიმართულება VII. შიდა აუდიტი	11
მიმართულება VIII. თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მმართველობაში მყოფი იურიდიული პირები	11
სტრატეგიის განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპები	13
გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი	13

შესავალი

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველომ ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია და დღემდე, არსებული გამოწვევების მიუხედავად, ლიდერად გვევლინება რეგიონში, რასაც სხვადასხვა საერთაშორისო კვლევა და რეიტინგი ადასტურებს. ანგარიშვალდებულებისა და კეთილსინდისიერების უზრუნველყოფა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და დემოკრატიული მმართველობის დანერგვის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. აღნიშნული იძლევა მოქალაქეებისთვის დროული და ხარისხიანი სერვისების მიწოდების, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი ჩართულობისა და მოსახლეობისთვის აქტუალური პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობას, რაც დადებითად აისახება ხელისუფლების მიმართ ნდობაზე.

სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთი არსებითი წინაპირობა ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერება და დეცენტრალიზაციაა. მუნიციპალიტეტებში გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების პოლიტიკის ეფექტიანი იმპლემენტაციისთვის არსებითია მათი ჩართულობის გაზრდა პოლიტიკის შემუშავების პროცესში და ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის რეფორმის გაძლიერება, რაც ევროკავშირთან ასოცირების დღის წესრიგის მიხედვით, ერთ-ერთ პრიორიტეტად არის დასახელებული¹ და, ამასთანავე, დადებითად აისახება მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაზე. საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, კორუფციის პრევენციის პროცესში, ისევე, როგორც კეთილსინდისიერებისა და გამჭვირვალობის მექანიზმების სისტემური სრულყოფის თვალსაზრისით, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული ადგილობრივი სტრატეგიული დოკუმენტები.

ანტიკორუფციული პოლიტიკის იმპლემენტაციის პროცესში მუნიციპალიტეტების როლის გაძლიერების მიზნით 2019-2020 წლების ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმა რამდენიმე სხვა ამოცანასთან ერთად ვალდებულებად განსაზღვრავს მუნიციპალიტეტებში კეთილსინდისიერებისა და გამჭვირვალობის განმტკიცებას, რომლის ერთ-ერთ აქტივობას მუნიციპალიტეტებში გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება წარმოადგენს. აღნიშნული ასევე წარმოადგენს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელის (ჩ - ჩ) რეკომენდაციას.² ამ მიზნით, თელავის მუნიციპალიტეტის მერიამ, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (შ I) პროექტ დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (OCEP Oკმრნანცე I60ტიატიკე) მხარდაჭერითა და

¹ Association Agenda between the European Union and Georgia, 2017 – 2020, გვ. 18, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/annex_ii_-_eu-georgia_association_agenda_text.pdf.

² OECD Anti-Corruption Network for Eastern Europe and Central Asia (OECD-ACN), Anti-Corruption Reforms in Georgia - Fourth Round of Monitoring of the Istanbul Anti-Corruption Action Plan, 2016, გვ. 23, რეკომენდაცია 1, ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.oecd.org/corruption/acn/OECD-ACN-Georgia-Round-4-Monitoring-Report-ENG.pdf>.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან (I I) თანამშრომლობით მოამზადა გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სტრატეგია.

სტრატეგიული დოკუმენტების მტკიცებულებებზე დაყრდნობით შემუშავების მიზნით თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში I I-სთან თანამშრომლობით განხორციელდა ანგარიშვალდებულებისა და კეთილსინდისიერების მიმართულებით არსებული სიტუაციის სიღრმისეული ანალიზი. სიტუაციური ანალიზის ფარგლებში გამოვლენილი ხარვეზებისა და იდენტიფიცირებული გამოწვევების აღმოსაფხვრელად შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე განისაზღვრა სტრატეგიის პრიორიტეტული მიმართულებები, მიზნები და ამოცანები.

სიტუაციური ანალიზი მომზადდა მერიის თანამშრომლებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების აქტიური ჩართულობით. ანგარიშის შემუშავების პროცესში დეტალურად იქნა შესწავლილი არსებული ანტიკორუფციული საკანონმდებლო ჩარჩო და პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტები; საქართველოსთან მიმართებით არსებული საერთაშორისო რეკომენდაციები - ჩ - ჩ / ლ ჩ -ს მონიტორინგის ანგარიშები და მათი ზოგადი სტანდარტები. აქცენტი გაკეთდა იმ რეკომენდაციებზე, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობისთვის იყო რელევანტური. ამავდროულად, სიტუაციის ანალიზის ფარგლებში მოხდა თელავის მერიასთან მიმართებით სახელმწიფო აუდიტის ანგარიშების შესწავლა.

თელავის მუნიციპალიტეტის მერია გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სტრატეგიის საფუძველზე შეიმუშავებს და დაამტკიცებს სტრატეგიის განხორციელების ორწლიანი სამოქმედო გეგმას. სამოქმედო გეგმით სტრატეგიაში დასახელებული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად განისაზღვრება კონკრეტული აქტივობები, ამოცანების/აქტივობების შედეგების ინდიკატორები, პასუხისმგებელი/პარტნიორი სტრუქტურული ერთეულები, რისკები, აქტივობის შესრულების ვადები და დაფინანსების წყარო.

სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების მიზნით თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნა მერიის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი, რომელიც აქტიურად მონაწილეობს გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებაში. ამასთან, სამუშაო ჯგუფი წელიწადში ერთხელ უზრუნველყოფს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის გადახედვას და მიმდინარე გამოწვევების საპასუხოდ დოკუმენტების განახლებას.

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას ამტკიცებს თელავის მერი.

ხედა

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა საჭიროებს მუდმივ ძალისხმევასა და ინტენსიურ მუშაობას პოტენციური კორუფციული რისკების აღმოფხვრის მიზნით. თელავის მუნიციპალიტეტის მერია აცნობიერებს, რომ კეთილსინდისიერებისა და

გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტების პრაქტიკაში დანერგვა აუცილებელია სამსახურის გამართული ფუნქციონირებისთვის. აღნიშნული მოიაზრებს კორუფციისგან თავისუფალი ისეთი გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული სისტემის ჩამოყალიბებას, სადაც კეთილსინდისიერებასა და ეთიკური გარემოს შექმნას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის წარმატებით განხორციელება კი ქმნის მუნიციპალიტეტში მმართველობითი პროცესების საჭიროებისამებრ შეცვლის შესაძლებლობას.

კორუფციის პრევენციის მიზნით ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე სახელმწიფო უწყებათა ჩამოყალიბება საქართველოს ევროკავშირს დაახლოების კუთხით განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია, რადგან საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებით ქვეყანამ აიღო ვალდებულება, შექმნას ანგარიშვალდებული, ეფექტიანი, გამჭვირვალე და პროფესიონალური საჯარო სამსახური.³

იმის გათვალისწინებით, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში ქვეყანამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია, ახალ ეტაპზე ხედვის მთავარ ხედვებს წარმოადგენს:

1. ადგილობრივ დონეზე გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული და კორუფციისგან თავისუფალი სისტემის ჩამოყალიბება;
2. მუნიციპალიტეტის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობისა და ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ მოსახლეობის ნდობის გაზრდა;
3. ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობისა და საჯარო ფინანსების განკარგვის ეფექტიანობის უზრუნველყოფა;

სტრატეგიული მიმართულებები

თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების მაღალი სტანდარტების უზრუნველყოფისა და ზემოაღნიშნული სტრატეგიული ხედვების მიღწევის მიზნით სტრატეგია პრიორიტეტად შემდეგ რვა მიმართულებაზე მუშაობას ასახელებს:

1. გამჭვირვალობა, რაც მოიცავს მერიაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებასა და მონაცემთა დამუშავების სტანდარტებს, მათ შორის, ღია მონაცემებზე ხელმისაწვდომობას.
2. მოქალაქეთა ჩართულობა და ანგარიშვალდებულება, რაშიც იგულისხმება მერიის საქმიანობაში კანონმდებლობით გათვალისწინებული მონაწილეობის ინსტრუმენტები, გადაწყვეტილების მიღების, მათ შორის, ბიუჯეტის შემუშავების პროცესში თანამშრომელთა და საზოგადოების მონაწილეობა.

³ „ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის“ (2014), მუხლი 4.

3. ადამიანური რესურსების მართვა, რაშიც მოიაზრება საჯარო სამსახურის შესახებ ძირითადი და დამხმარე კანონმდებლობის პრაქტიკული აღსრულება მოხელეთა სამსახურში აყვანის, გათავისუფლების, ანაზღაურების, კარიერული განვითარებისა და ა.შ. საკითხებზე. ასევე, ადამიანური რესურსების განაწილება.
4. ეთიკა და დისციპლინური წარმოება, რაშიც იგულისხმება მერიის თანამშრომელთა ეთიკისა და კეთილსინდისიერების მარეგულირებელი ნორმები, დისციპლინური წარმოების წესები და სტანდარტები, აღნიშნულ საკითხებზე, ისევე, როგორც მამხილებელთა ინტიტუტის შესახებ, მერიის თანამშრომელთა ცნობიერება და ამ კუთხით არსებული პრაქტიკა.
5. სახელმწიფო შესყიდვები, რაც გულისხმობს მერიის სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა-განხორციელების პროცესსა და განხორციელებულ შესყიდვებთან დაკავშირებულ გარემოებებს.
6. ნებართვები, რაშიც მოიაზრება სერვისების მიწოდების ხარისხი და მათი შესაბამისობა კეთილსინდისიერების სტანდარტებთან.
7. შიდა ფინანსური კონტროლი, რაც დაკავშირებულია საჯარო დაწესებულების შიდა კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებასთან.
8. თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მმართველობაში მყოფი იურიდიულ პირები, მათში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტების უზრუნველყოფის კონტექსტში.

მიმართულება I. გამჭვირვალობა

თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში გამჭვირვალობის გარკვეული სტანდარტები უკვე დანერგულია, თუმცა, მერია აცნობიერებს, რომ მნიშვნელოვანია აღნიშნული სტანდარტების დახვეწა და არსებული სისტემის გაუმჯობესება; საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის კვალიფიკაციაზე მუდმივი ზრუნვა; საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად, ღია ფორმატში გამოქვეყნების სტანდარტების პრაქტიკაში სრულყოფილად დანერგვა, ვებგვერდზე მონაცემების მუდმივი განახლების უზრუნველყოფა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. მნიშვნელოვანია, რომ გამჭვირვალობის აღნიშნული სტანდარტები მერიასთან ერთად მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფ იურიდიულ პირებშიც დაინერგოს.

შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებით თელავის მუნიციპალიტეტის მერიის **სტრატეგიული მიზანია მერიაში გამჭვირვალობის ხარისხის გაუმჯობესება.**

აღნიშნული მიზნის მისაღწევად თელავის მერია განსაზღვრავს შემდეგ ამოცანებს:

- **თელავის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლება საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებით - გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფის თვალსაზრისით რელევანტურია იმ თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლება, რომელთა კომპეტენციაში შედის საჯარო ინფორმაციის შესახებ განცხადებებზე რეაგირება, ინფორმაციის**

დამუშავება და გაცემა. კერძოდ, ამოცანა მოიაზრებს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის კვალიფიკაციისა და პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა ცნობიერების ამაღლებას საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებით.

- **საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა** - გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფის თვალსაზრისით ასევე არსებითად მნიშვნელოვანია საჯარო ინფორმაციაზე მაღალი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ამის გათვალისწინებით, ამოცანა მოიაზრებს ღია მონაცემების წარმოებისა და ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების პრაქტიკის გაუმჯობესებას.

მიმართულება II. მოქალაქეთა ჩართულობა და ანგარიშვალდებულება

თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში ფუნქციონირებს მერიის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმები, თუმცა, მერია ითვალისწინებს, რომ მნიშვნელოვანია აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესება და მათთან დაკავშირებით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, რათა საზოგადოებას ფლობდეს ინფორმაციას საკუთარი უფლებების, ისევე, როგორც მერიის საქმიანობაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობების შესახებ. აუცილებელია, მოქალაქეები იღებდნენ ინფორმაციას იმ საქმიანობის შესახებ, რასაც მერია განახორციელებს სამოქალაქო ინიციატივებზე დაყრდნობით. ასევე საჭიროა, რომ მერიამ მეტად იაქტიუროს მოსახლეობასთან შეხვედრებისა და განხილვების კუთხით და წაახალისოს სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივებიც ამასთან დაკავშირებით. მერია აცნობიერებს, რომ მნიშვნელოვანია საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაუმჯობესება, მათ შორის, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს საქმიანობის ხელშეწყობის, საბჭოზე განხილულ საკითხებზე რეაგირებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობაში მონაწილე პირების შესაძლებლობების განვითარების გზით.

შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებით თელავის მერიის **სტრატეგიული მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში საზოგადოების როლის გაძლიერება და მერიის ანგარიშვალდებულების გაზრდა.**

აღნიშნული მიზნის მისაღწევად თელავის მერია შემდეგ ამოცანებს განსაზღვრავს:

- **მუნიციპალიტეტის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა** - ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა დემოკრატიული მმართველობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. მერიის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის თვალსაზრისით გაწეული ძალისხმევის მიუხედავად, გამოწვევად რჩება ჩართულობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა. თელავის მუნიციპალიტეტის მერია აცნობიერებს, რომ მნიშვნელოვანია აღნიშნული მექანიზმების დახვეწა, ისევე, როგორც მათ შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება. ამასთან, მუნიციპალიტეტის მიერ შეთავაზებული სერვისების ჯეროვანი ფუნქციონირებისა და მათი აქტიურად გამოყენებისთვის უმნიშვნელოვანესია,

მოსახლეობა სათანადოდ იყოს ინფორმირებული. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამოცანა მოიაზრებს მოქალაქეებთან კომუნიკაციის პრაქტიკის გაუმჯობესებასა და მათი ინფორმირებულობის გაზრდას როგორც მონაწილეობის არსებული ფორმების, ისე თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ყველაზე საჭირო ადგილობრივი სერვისებით სარგებლობასთან დაკავშირებით.

- **თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში პოლიტიკის ანალიზის პრაქტიკის დანერგვა** - მერია მიიჩნევს, რომ სწორად შემუშავებული პოლიტიკა და მისი კოორდინირებული განხორციელება ისევე მნიშვნელოვანია ადგილობრივ დონეზე, როგორც - ეროვნულ დონეზე. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ხელს უწყობს დასახული მიზნების მიღწევის პროცესში რელევანტური უწყების ეფექტიანობის გაზრდას, ისევე, როგორც მოქალაქეების კეთილდღეობაზე ორიენტირებული მიდგომების ჩამოყალიბებას, ამოცანა მოიაზრებს ადგილობრივ დონეზე პოლიტიკის ანალიზის სტანდარტების დანერგვას.

მიმართულება III. ადამიანური რესურსების მართვა

თელავის მუნიციპალიტეტის მერია აცნობიერებს, რომ ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით საჭიროა მერიაში დამატებითი რეგულაციების დანერგვა. მნიშვნელოვანია, განხორციელდეს უწყების ფუნქციური ანალიზი, რომლის საფუძველზეც მოხდება თანამშრომელთა უფრო დეტალური სამუშაო აღწერილობის განსაზღვრა და მასზე დაყრდნობით ანაზღაურების საკითხის გადახედვა. მერია ასევე მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია, მეტი ყურადღება დაეთმოს ახლად დანიშნული თანამშრომლებისთვის რელევანტური საკითხების გაცნობასა და თანამშრომელთა პროფესიული განვითარებას.

შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებით თელავის მერიის **სტრატეგიული მიზანია ადამიანური რესურსების მდგრადობის უზრუნველყოფა და თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.**

აღნიშნული მიზნის მისაღწევად თელავის მუნიციპალიტეტის მერია შემდეგ ამოცანას განსაზღვრავს:

- **ადამიანური რესურსების მართვის გაუმჯობესება** - მერიის შეუფერხებელი საქმიანობისთვის უმნიშვნელოვანესია საკადრო პოლიტიკის გამართულობის უზრუნველყოფა და საკადრო რესურსების გამოყენების ოპტიმიზაცია. ამის გათვალისწინებით, ამოცანა მოიაზრებს მერიის ფუნქციური ანალიზის განხორციელებას, ადამიანური რესურსისა და თანამშრომელთა ანაზღაურების რაციონალიზაციის უზრუნველყოფას, ისევე, როგორც ახლად დასაქმებული თანამშრომლების ხელშეწყობას მერიის მუშაობის პრინციპებისა და პრაქტიკის გაცნობაში.
- **ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების სისტემის დახვეწა** - თელავის მუნიციპალიტეტის მერია აცნობიერებს, რომ მერიის საქმიანობის

ხარისხი და ეფექტიანობა დამოკიდებულია კადრების პროფესიონალიზმზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, მუდმივად ხდებოდეს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება. ამის გათვალისწინებით, ამოცანა მოიაზრებს საჯარო მოხელის პროფესიული დონის ანალიზს, კადრების საჭიროებათა შესწავლასა და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებას.

მიმართულება IV. ეთიკა და კორუფციული რისკების შემცირება

თელავის მუნიციპალიტეტის მერია აცნობიერებს, რომ საჯარო სამსახურის სისტემაში უმნიშვნელოვანესია ეთიკური გარემოს შექმნა, რაც ხელს უწყობს გამჭვირვალე, ანგარიშვალდებულო, კეთილსინდისიერი სამსახურის ჩამოყალიბებას. მაღალი ეთიკური კულტურისა და სტანდარტების დამკვიდრებისთვის მერია მიზნად ისახავს, უწყების დონეზე ეთიკის კოდექსისა და ისეთი სახელმძღვანელოს შემუშავებას, სადაც კონკრეტული მაგალითების საფუძველზე პრაქტიკული რჩევები იქნება გათვალისწინებული სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის, ინტერესთა კონფლიქტზე, თანამდებობრივ შეუთავსებლობაზე, ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივ გამოყენებაზე და ა.შ. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ეთიკისა და მამხილებლის ინსტიტუტის საკითხებზე თანამშრომელთა და თანამდებობის პირთა ცნობიერების ამაღლება. ამის პარალელურად, მერია პრიორიტეტულად მიიჩნევს ეთიკის კუთხით გარემოს გაუმჯობესებაზე პასუხისმგებელი საშტატო ერთეულის გამოყოფასა და ეთიკის ნორმების შესრულების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი სამსახურის შესაძლებლობების განვითარებას.

შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებით თელავის მერიის **სტრატეგიული მიზანია მერიაში მაღალი ეთიკური კულტურისა და სტანდარტების დამკვიდრება.**

აღნიშნული მიზნის მისაღწევად თელავის მერია შემდეგ ამოცანებს განსაზღვრავს:

- **თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში ეთიკური გარემოს გაუმჯობესება** - ეთიკისა და კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული შიდა რეგულაციების გაუმჯობესების მიზნით ამოცანა მოიაზრებს მერიის დონეზე ეთიკის კოდექსისა და პრაქტიკული სახელმძღვანელოს შემუშავებასა და პრაქტიკაში დანერგვას; მერიის თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებას ეთიკის, კეთილსინდისიერების, მამხილებელთა ინსტიტუტისა და სხვა რელევანტურ საკითხებზე, ისევე, როგორც ეთიკური გარემოს გაუმჯობესების მიზნით კონსულტაციის მექანიზმის დანერგვას.
- **თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში კორუფციული რისკების შეფასების სისტემის დანერგვა** - კეთილსინდისიერი და კორუფციული რისკებისაგან თავისუფალი საჯარო სამსახურის ჩამოყალიბების მიზნით ამოცანა მოიაზრებს საჯარო დაწესებულებაში კორუფციული რისკების შეფასების გამართული მექანიზმის ფუნქციონირების უზრუნველყოფას.

მიმართულება V. სახელმწიფო შესყიდვები

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვებში მაღალი სტანდარტების დასამკვიდრებლად გაწეული ძალისხმევის მიუხედავად, ამ მიმართულებით კვლავ არსებობს გარკვეული გამოწვევები. მერია მიზნად ისახავს შიდა კონტროლის მექანიზმების დახვეწას, შესყიდვების დაგეგმვა-განხორციელების პროცესში კეთილსინდისიერების რისკების შეფასების პრაქტიკის დანერგვას. მერია აცნობიერებს, რომ პრიორიტეტულია ტენდერების მიმართულებით არსებული ხარვეზების აღმოფხვრა და კონკურენციის გაზრდის ხელშეწყობა. ამასთან, გამჭვირვალობის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, აქტიურად ვრცელდებოდეს ინფორმაცია ტენდერებისა და შესყიდვებთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის შესახებ. არანაკლებ პრიორიტეტულია ქონების პრივატიზების პროცესის მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებით თელავის მერიის **სტრატეგიული მიზანია მერიაში სახელმწიფო შესყიდვების მაღალი სტანდარტების დამკვიდრება.**

აღნიშნული მიზნის მისაღწევად თელავის მერია შემდეგ ამოცანებს განსაზღვრავს:

- **შესყიდვების განხორციელების პროცესში შიდა კონტროლის მექანიზმის გაუმჯობესება** - იმის გათვალისწინებით, რომ კარგად მართული შესყიდვები არსებით როლს თამაშობს საჯარო სექტორის ეფექტიანობის გაზრდასა და მოქალაქეთა ნდობის ჩამოყალიბებაში, უმნიშვნელოვანესია სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გამჭვირვალობის ადეკვატური ხარისხის უზრუნველყოფა შესყიდვების ციკლის თითოეულ ეტაპზე. ამის გათვალისწინებით, ამოცანა მოიაზრებს ინფრასტრუქტურული ობიექტების მდგომარეობის ეფექტიანი მონიტორინგის მექანიზმის, შესყიდვების ხელშეკრულებების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემისა და შესყიდვების პროცესში კეთილსინდისიერების რისკების შეფასების სისტემის დანერგვას (მნიშვნელოვანია, აღნიშნული შემდგომში განხორციელდეს მერიის დაქვემდებარებაში მყოფ იურიდიულ პირებშიც).
- **მერიაში სახელმწიფო შესყიდვების პროცესის გამჭვირვალობის გაუმჯობესება** - გამჭვირვალობის ხარისხის გაზრდის მიზნით ამოცანა მოიაზრებს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საკითხების, მათ შორის, გამოცხადებული ტენდერების შესახებ ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების უზრუნველყოფას (მნიშვნელოვანია, აღნიშნული განხორციელდეს მერიის დაქვემდებარებაში მყოფ იურიდიულ პირებთან მიმართებითაც).
- **მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის პროცესის გაუმჯობესება** - ამოცანა მოიაზრებს სატენდერო განაცხადების გამართულობისა და პროპორციულობის უზრუნველყოფას, ისევე, როგორც პოტენციური მომწოდებლებთან კომუნიკაციის დახვეწას მათი საჭიროებების დადგენის მიზნით (მნიშვნელოვანია, აღნიშნული განხორციელდეს მერიის დაქვემდებარებაში მყოფ იურიდიულ პირებშიც).

- ქონების პრივატიზების პროცესში კონტროლის მექანიზმების გაძლიერება და პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა - გამოცხადებულ აუქციონზე თანაბარი პირობებისა და კონკურენტული გარემოს შექმნას. ასევე, პრივატიზების თაობაზე ხელშეკრულებების შესრულების მონიტორინგის მექანიზმის დანერგვას.

მიმართულება VI. ნებართვები

თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში ნებართვების გაცემასთან დაკავშირებით ძირითადი სტანდარტები დანერგილია. მერია აცნობიერებს, რომ მნიშვნელოვანია აღნიშნული სერვისების, მათი მიწოდების წესის, გასაჩივრების პროცედურის შესახებ ინფორმაცია მარტივად აღქმადი ფორმით იყოს ხელმისაწვდომი მერიის ვებგვერდზე.

შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებით თელავის მერიის სტრატეგიული მიზანია ნებართვების გაცემის სერვისით სარგებლობის გამარტივება მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად თელავის მერია შემდეგ ამოცანებს განსაზღვრავს:

- თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ნებართვების გაცემის სერვისის შესახებ მოსახლეობის ინფორმირების ხელშეწყობა - მუნიციპალიტეტის მიერ შეთავაზებული სერვისების ჯეროვანი ფუნქციონირებისა და მათი აქტიურად გამოყენებისთვის უმნიშვნელოვანესია, მოსახლეობა სათანადოდ იყოს ინფორმირებული. ამის გათვალისწინებით, ამოცანა მოიაზრებს ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას.
- ნებართვებთან დაკავშირებული საჩივრის განხილვის პროცედურის დახვეწა - სერვისით სარგებლობის გამარტივებისა და ინოვაციური ელექტრონული სერვისების დანერგვის მიზნით ამოცანა მოიაზრებს ნებართვებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ელექტრონული მექანიზმის დანერგვას.

მიმართულება VII. შიდა აუდიტი

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახური, როგორც შიდა კონტროლის მექანიზმი, ფუნდამენტურად მნიშვნელოვან როლს თამაშობს საჯარო სამსახურში კორუფციის პრევენციისა და კეთილსინდისიერების მაღალი ხარისხის დამკვიდრების თვალსაზრისით. შიდა აუდიტის გამართულად ფუნქციონირება არსებითად მნიშვნელოვანია ადგილობრივი მმართველობის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად. მართალია, მერიის შიდა აუდიტის სამსახური გამართულად ფუნქციონირებს, თუმცა, რისკების მართვის კუთხით მისი საქმიანობის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მერია პრიორიტეტულად მიიჩნევს სამსახურის გაძლიერებას, განსაკუთრებით, გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის, თანამშრომლების პროფესიულ განვითარებისა და ეთიკის ნორმების განმტკიცებაზე მუდმივი ზრუნვის თვალსაზრისით.

შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებით თელავის მერიის **სტრატეგიული მიზანია შიდა აუდიტის სამსახურის გაძლიერება.**

აღნიშნული მიზნის მისაღწევად თელავის მერია შემდეგ ამოცანას განსაზღვრავს:

- **მერიის წინაშე არსებული რისკების მართვის ხარისხის გაუმჯობესება** - ამოცანა მოიაზრებს შიდა აუდიტის სამსახურის გაძლიერებას სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის მიმართულებით და ამ მიზნით მის უზრუნველყოფას სათანადო ადამიანური და ფინანსური რესურსებით. ასევე, შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლების მუდმივი პერიოდული გადამზადების პრაქტიკის დანერგვას, მათ შორის, ეთიკისა და ინტერესთა კონფლიქტის საკითხებზე.

მიმართულება VIII. თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მმართველობაში მყოფი იურიდიული პირები

თელავის მუნიციპალიტეტის მერია აცნობიერებს, რომ მერიის დაქვემდებარებაში მყოფი იურიდიული პირების საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით მნიშვნელოვანია, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს შესყიდვების მიმართულებით გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრას. მერიის მმართველობაში შემავალ იურიდიულ პირებში სახელმწიფო შესყიდვების სტანდარტების გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვანია, რომ მერიის ბაზაზე შესყიდვების მიმართულებით განსაზღვრული ამოცანები ეტაპობრივად განხორციელდეს მერიის მმართველობაში შემავალ იურიდიულ პირებშიც. გარდა ამისა, არანაკლებ მნიშვნელოვანია, თითოეულ იურიდიულ პირში არსებობდეს შიდა კონტროლის ძლიერი და გამართული მექანიზმი, ისევე, როგორც წარმომადგენლობითი ხარჯის აღრიცხვის წესი, რომლის საფუძველზეც მოხდება თითოეული გასაწევი ხარჯის საჭიროების დასაბუთება. ასევე მნიშვნელოვანია იურიდიული პირების საქმიანობის გაანალიზება მათი რეორგანიზაციის საჭიროების დადგენის მიზნით. მერია პრიორიტეტულად მიიჩნევს, მერიაში არსებული სტანდარტებისა და პრინციპების დანერგვა ეფექტიანად მოხდეს მის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში, რომელთა გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხი გაუმჯობესებას საჭიროებს.

შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებით თელავის მერიის **სტრატეგიული მიზანია მერიის მმართველობაში შემავალი იურიდიული პირების საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.**

აღნიშნული მიზნის მისაღწევად თელავის მერია შემდეგ ამოცანებს განსაზღვრავს:

- **მერიის მმართველობაში შემავალი იურიდიული პირების ადამიანური რესურსების მართვის გაუმჯობესება** - მნიშვნელოვანია, რომ მერიაში მოქმედი სტანდარტებისა და საკადრო პოლიტიკის გაზიარება მაქსიმალურად მოხდეს მერიის მმართველობაში მყოფ იურიდიულ პირებშიც. ამოცანა მოიაზრებს იურიდიულ პირთა ფუნქციური ანალიზის განხორციელებას მათი რეორგანიზაციის საჭიროების დადგენისა და ადამიანური რესურსების

ოპტიმიზაციის მიზნით. ასევე, თანამშრომელთა აყვანის გამჭვირვალე, ღია კონკურსების ჩატარების პრაქტიკის დანერგვას.

- **მერიის მმართველობაში შემავალი იურიდიული პირების საქმიანობის გამჭვირვალობის გაზრდა** - ამოცანა მოიაზრებს იურიდიული პირების მიერ საქმიანობის სრულყოფილი ანგარიშების წარმოების, იურიდიულ პირებთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის (მათ შორის, საშტატო ნუსხები, წესდებები, შესყიდვების გეგმები, ბიუჯეტები, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები და ადმინისტრაციული ხარჯები) სრულყოფილად პროაქტიული გამოქვეყნებისა და მისი მუდმივი განახლების უზრუნველყოფას.
- **მერიის მმართველობაში შემავალი იურიდიული პირების თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლება გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სტანდარტების შესახებ** - ეთიკის, ინტერესთა შეუთავსებლობისა და კეთილსინდისიერების სტანდარტების პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობის მიზნით ამოცანა მოიაზრებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, მათ შორის ღია მონაცემებისა და მათი პროაქტიული გამოქვეყნების შესახებ თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლების უზრუნველყოფას.
- **მერიის მმართველობაში შემავალ იურიდიულ პირებში შიდა კონტროლის მექანიზმების გაძლიერება** - ამოცანა მოიაზრებს მერიის მმართველობაში მყოფი თითოეული იურიდიული პირისთვის წესდებისა და შინაგანაწესის შემუშავებას, წარმომადგენლობითი ხარჯის აღრიცხვის მაღალი სტანდარტის დამკვიდრებას ხარჯვა-აღრიცხვის სპეციალური წესის შემუშავების საფუძველზე.

სტრატეგიის განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპები

თელავის მუნიციპალიტეტის მერია სტრატეგიას განხორციელებს შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით:

ანგარიშგება და კეთილსინდისიერება: თელავის მუნიციპალიტეტის მერია მოახდენს სტრატეგიის შესრულების მდგომარეობისა და მერიის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ანგარიშგებას, რაც ხელს შეუწყობს გამჭვირვალობის განმტკიცებასა და კორუფციის პრევენციას.

მტკიცებულებებზე დამყარებული მიდგომა: კეთილსინდისიერების პოლიტიკა თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში კორუფციული რისკების შესწავლას, განხორციელებული ღონისძიებების ანალიზსა და სტრატეგიული დოკუმენტების შესრულების შეფასების შედეგებს დაეყრდნობა.

შედეგზე ორიენტირებული მიდგომა: თელავის მუნიციპალიტეტის მერია დაისახავს რეალისტურ მიზნებს და მხედველობაში მიიღებს კონკრეტულ ღონისძიებასთან მიმართებით არსებულ მონაცემებს, რათა აღნიშნულის საფუძველზე უზრუნველყოს აქტივობების შედეგების შეფასება.

სამოქალაქო სექტორის ჩართულობა: კეთილსინდისიერების პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებისთვის თელავის მუნიციპალიტეტის მერია ითანამშრომლებს სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ბიზნესსექტორთან. სამოქალაქო სექტორი ჩართული იქნება როგორც სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებაში, ისე მათი შესრულებისა და მონიტორინგის პროცესში.

პროცესის გამჭვირვალობა და საჯარო კონსულტაციები: სტრატეგიული დოკუმენტების მომზადების პროცესში უზრუნველყოფილი იქნება ღიაობა, ადგილობრივი საზოგადოების ჩართულობა მათი საჭიროებებისა და მოსაზრებების გათვალისწინების, ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ ნდობის ამაღლებისა და მოქალაქეთა გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით.

გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი

გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მეთოდოლოგიის ძირითადი მიზანია, შექმნას სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნება გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და გატარებული პოლიტიკის შეფასება. აღნიშნული ხელს შეუწყობს აღნიშნული დოკუმენტებით გათვალისწინებული მიზნების მიღწევასა და ამოცანების შესრულებას.

მონიტორინგის მეთოდოლოგია დაფუძნებულია ღიაობის, ანგარიშვალდებულების, პასუხისმგებლობისა და ჩართულობის პრინციპებზე. დოკუმენტში წარმოდგენილია მონიტორინგის განხორციელებისათვის საჭირო მიდგომები, თვისებრივი და რაოდენობრივი შეფასების მეთოდოლოგიური ინსტრუმენტები.

მონიტორინგის პროცესში გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანებისა და აქტივობების შესრულება გაიზომება მათთვის განსაზღვრული რაოდენობრივი ან/და ხარისხობრივი ინდიკატორების მიხედვით.

ამოცანებისა და აქტივობების შესრულებას მიენიჭება ოთხიდან ერთი სტატუსი:

1. სრულად შესრულებული - აქტივობა/ამოცანა სრულად შესრულდა ან თითქმის სრულად შესრულდა და მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია დასასრულებელი.
2. მეტწილად შესრულებული - აქტივობის/ამოცანის ძირითადი ნაწილი შესრულდა, თუმცა, გარკვეული ნაწილი ისევ შესასრულებელია.
3. ნაწილობრივ შესრულებული - აქტივობის/ამოცანის გარკვეული ნაწილია შესრულებული და ძირითადი ნაწილი არ შესრულებულა.
4. შეუსრულებელი - აქტივობა/ამოცანა საერთოდ არ შესრულებულა ან მისი იმდენად უმნიშვნელო ნაწილი შესრულდა, რომ პროგრესის დაფიქსირება ფაქტიურად შეუძლებელია.

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული ყოველწლიური მონიტორინგის ანგარიშის ფარგლებში შეფასდება მიღწეული პროგრესი და არსებული გამოწვევები. მონიტორინგის ანგარიში კომენტარებისა და მოსაზრებების გაზიარებისთვის მიეწოდება პროცესში ჩართულ არასამთავრობო ორგანიზაციებს. საბოლოო მონიტორინგის შედეგების დამუშავება შესაძლებელია მოხდეს დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ. მონიტორინგის ჩარჩოს შედეგების განხილვა განხორციელდება მერიის თანამშრომლებისა და ფართო საზოგადოების ჩართულობით.

სამოქმედო გეგმის შესრულების კოორდინაციას განახორციელებს თელავის მუნიციპალიტეტის მერია. ამ მიზნით, პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის მერიაში გამოიყოფა საკონტაქტო პირი, რომელიც სრულად იქნება ინფორმირებული სამოქმედო გეგმის, მისი შესრულების ეტაპებისა და პასუხისმგებელი რგოლების შესახებ.

შოთა ნარეკლიშვილი



მუნიციპალიტეტის მერი

თელავის მუნიციპალიტეტის მერია